საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№27 (6402) 5 მარტი სამშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

28 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიამ განაგრძო მუშაობა. დეპუტატებმა იმსჯელეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების კანონპროექტზე, რომლის განხილვა წინა დღეს დაიწყო. გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული ეს კანონპროექტი წარმოადგინა უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ გივი თაქთაქიშვილმა. კანონი მიიღეს პირველი წაკითხვით.

სესიამ დაამტკიცა უზენაესი საბჭოს საქართველოს რესპუბლიკაში მიწის ნაკვეთების გამოყოფის საფუძვლიანობის საკითხთა შემსწავლელი დროებითი კომისიის შემადგენლობა.

შემდეგ უზენაესი საბჭო შეუდგა სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხზე სსრ კავშირის რეფერენდუმის ორგანიზაციისა და მისი მოწყობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილების გამო საკითხის განხილვას. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას განცხადების შემდეგ, რომელმაც წაიკითხა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შემოთავაზებული დადგენილების პროექტი, დაიწყო კამათი. კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ბიძინა გიორგობიანი, ლევან ალექსიძე, ნოდარ ნათაძე, ტარიელ გელანტია, ბიმურზა აფრასიძე, როინ მეტრეველი, აპოლონ სილაგაძე, რომან გოცირიძე, ალექსანდრე ქობულაშვილი, თემურ მდინარაძე, დავით ბერძენიშვილი, აკაკი ბობოხიძე, რობერტ პეტრიაშვილი და სხვები. სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სამაჩაბლოში მდგომარეობის შესახებ სესიაზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ქალაქ ცხინვალის კომენდანტმა, მილიციის გენერალმაიორმა გივი კვანტალიანმა. მან და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა უპასუხეს დეპუტატთა კითხვებს.

სამაჩაბლოში მიმდინარე ამბებთან დაკავშირებით უზენაესმა საბჭომ მიიღო მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებისადმი.

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურის შესახებ უზენაეს საბჭოს მოახსენა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თენგიზ სიგუამ. მისივე წარდგენით სესიამ დანიშნა მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილე, საქართველოს რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და დეპარტამენტების, სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელები.

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიისაგან დეპუტატთა ჯგუფის განცხადება გააკეთა დეპუტატმა კონსტანტინე კაპანაძემ.

სესიაზე რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე განცხადებებით და წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები გურამ პეტრიაშვილი, ნუგზარ მოლოდინაშვილი, ამირან კალაძე, აკაკი ბობოხიძე და ავთანდილ საყვარელიძე.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

### ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ტერიტორიულ საარჩევნო კომისიებს მიაკუთვნა ნომრები

ცაგერის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის ნომერია 56.

## არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობის წესი

საარჩევნო კამპანიის დამთავრებამდე, 1991 წლის 31 მარტამდე მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებები (ტელევიზია, რადიო, პრესა) საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საკრებულოთა არჩევნების შესახებ კანონის მე-11 და 51-ე მუხლების შესაბამისად მუშაობენ შემდეგი წესის დაცვით:

**1. ტელევიზია**

25 თებერვლიდან 25 მარტამდე ყოველდღიურად საქართველოს ტელევიზიის 1-ლი პროგრამით საარჩევნო კამპანიას დაეთმობა სულ ცოტა 15 წუთი—ორი გადაცემა. 20 საათსა და 40 წუთიდან 20 საათსა და 50 წუთამდე (პროგრამა „მოამბის" შემდეგ) იქნება თითოეული პარტიის 10-წუთიანი გამოსვლა (პარტიათა შეთანხმებით ეს დრო შეიძლება ორმა პარტიამ გაინაწილოს და თითოეულს ორი 5-წუთიანი გამოსვლის შესაძლებლობა მიეცეს). 21 საათსა და 40 წუთიდან 21 საათსა და 45 წუთამდე 5 წუთი განცხადებებს დაეთმობა. თითოეული განცხადების ხანგრძლივობა 1 წუთია. ტექსტს კითხულობს დიქტორი.

ეთერში გასვლის რიგითობა დგინდება კენჭისყრით. ჩაწერა ტელევიზიაში შეიძლება გადაცემის ან წინა დღეს. სხვა შემთხვევაში წინასწარ ხდება შეთანხმება პრეს-ჯგუფთან. თუ პარტია უარს განაცხადებს ჩაწერაზე ან გადაცემის გაშვებაზე, ეს გამოიწვევს მისი რიგის დაკარგვას.

განცხადების ეთერში წაკითხვისათვის მისი ტექსტი პრესჯგუფს უნდა წარუდგინოს იმ დღის 12 საათამდე. თუ ამ დროისათვის განცხადებათა რიცხვი ხუთია, პრესჯგუფი წყვეტს მათ მიღებას. წაკითხვისას დაცული იქნება რიგითობა იმის მიხედვით, თუ რომელმა პარტიამ როდის წარადგინა განცხადება.

თითოეულ პარტიას უფლება აქვს გააკეთოს 7 განცხადება.

26-29 მარტი სარეზერვო დღეებია.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეუძლია ეს დღეები პარტიების გამოსვლებს დაუთმოს. გამოსვლების ხანგრძლივობა ყველა პარტიისათვის თანაბარი იქნება.

**2. რადიო**

26 თებერვლიდან 26 მარტამდე საქართველოს რადიოში საარჩევნო კამპანიას დაეთმობა:

ა) 10 წუთი ყოველდღიურად—საინფორმაციო გამოშვებებში;

ბ) 1 საათი კვირაში—საზოგადოებრივ პოლიტიკურ გადაცემებში.

რადიოთი გამოსვლის მსურველმა პარტიებმა განცხადებით უნდა მიმართონ პრეს-ჯგუფს:

ა) საინფორმაციო გადაცემაში მონაწილეობისათვის — არაუგვიანეს წინა დღისა;

ბ) სხვა გადაცემებში მონაწილეობისათვის—1 კვირით ადრე.

**3. პრესა**

რესპუბლიკური გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა", „ახალგაზრდა ივერიელი", „ერი", „ლიტერატურული საქართველო", „თავისუფალი საქართველო", „ვესტნიკ გრუზიი":

არჩევნებში მონაწილე ყოველ პარტიას უფლება აქვს 26 თებერვლიდან 26 მარტამდე კვირაში ერთხელ ამ გაზეთებში გამოაქვეყნოს ნებისმიერი სააგიტაციო მასალა და სხვა ინფორმაცია შემდეგი მოცულობით:

„საქართველოს რესპუბლიკაში"—გვერდის ერთი მერვედი;

„ახალგაზრდა ივერიელში" ან „თავისუფალ საქართველოში"—გვერდის ერთი მეოთხედი;

„ვესტნიკ გრუზიი"-ში—გვერდის ერთი მერვედი;

„ერში"—გვერდის ერთი მერვედი;

„ლიტერატურულ საქართველოში"—გვერდის ერთი მერვედი;

31 მარტამდე გაზეთს „ვეჩერნი ტბილისი" შესაძლებლობა აქვს გამოაქვეყნოს არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიის თითო ინტერვიუ.

ამისათვის ცენტრალური საარ-

(დასასრული მე-3 გვერდზე).

გულისთქმა

## მხარი მხარს მივცეთ...

ახლა ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ სტუმართმოყვარე ქართველმა ხალხმა არა მარტო იძმო და შეიკედლა, არამედ ყოველმხრივ ხელი შეუწყო ჩვენს მიწაზე ოსური კულტურის განვითარებას, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ლეჩხუმის სახელოვან მამულიშვილს, აკადემიკოს გიორგი ახვლედიანსაც.

ოსი ხალხის კულტურა საქართველოში უფრო აღორძინდა, ვიდრე მათ სამკვიდროში, ჩრდილო ოსეთში, სადაც მშობლიურ ენაზე განათლებასაც მოკლებული არიან. მერედა როგორ დაუფასდა ყველა ეს სიკეთე ქართველ ხალხს? რა თქმა უნდა, ცუდად, ოს ექსტრემისტთა გარკვეულმა ჯგუფმა შეძლო მოეწამლა ოსი ხალხის გონება და მტრად გადაჰკიდა ქართველ ერს და ჩვენსავე მიწაზე ქართველთა სასიკვდილოდ აღმართული ხელი აგერ ორი თვეა სისხლის ღვარს აყენებს. აი, რა დაუჯდა ქართველ ერს არასწორად შეკოწიწებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიის შექმნა, რამაც ქართველი ლტოლვილად აქცია საქართველოში. აზვირთდა მღელვარების ტალღა, ახლა საქმე გვაქვს არა მარტო ოს ექსტრემისტთა მცირე ჯგუფთან, არამედ მთელ სამხრეთ ოსეთთან.

ჩემის აზრით, საქართველოს მთავრობამ უნდა მიაღწიოს კანონიერების აღდგენას „ცენტრთან" რათა კრემლმა ხელი აიღოს ეთნოკრიზისების გამწვავებაზე. განა კრემლის გარეშე ვინმეს შეეძლო მხარი დაეჭირა ოსთა ავ განზრახვაზე და არალეგალურად გამოეჭედათ ქართველთა გასაწყვეტი იარაღი? კრემლის ემისრების გარეშე განა ვინმეს შეეძლო დაეშვა იარაღის წარმოება სამაჩაბლოში? სწორედ კრემლმა უნდა გასცეს განკარგულება დაიხურონ ის ქარხნები, სადაც ქართველთა მომაკვდინებელი იარაღი კეთდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი ხალხი ქუდზე კაცის გამოყვანის აუცილებლობის წინაშე დადგება. ეს კი სიტუაციის კიდევ უფრო გაუარესებას გამოიწვევს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია ცენტრალური ტელევიზიის „ვრემიას" კაცთმოძულე პოზიცია, რითაც მსოფლიო ხალხების დეზინფორმაციას ცდილობენ. განა ეს არის საბჭოთა კონსტიტუციის „დემოკრატიული" ნორმების დაცვა?

არც ქართველი ერია მოწოდების სიმაღლეზე, ამ ძნელბედობის ჟამს სხვადასხვა პარტიებმა და დაჯგუფებებმა ნაცვლად ერთიანი შეკავშირებისა გათიშვა და ერთმანეთთან დაუნდობელი ჭიდილი იწყეს. ეს კი ქართველ ერს, რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ახალ სიძნელეებს უქმნის. ხალხმა ვერ გაიგო ვინ ვინ არის. მიმაჩნია, რომ დღეს ყველას ერთიანობა, ერთ ძალად შეკვრა გვმართებს, რომ ვძლიოთ შინაური თუ გარეშე მტერი. ამასთან თვალი ფხიზლად უნდა გვეჭიროს იმ ოსთა მოქმედებაზე, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ, სიტყვით ჩვენ გვესიამოვნებიან, საქმით კი ვინ იცის?...

სამაჩაბლოს გასაჭირი ყველამ, თითოეულმა ქართველმა, ოჯახმა უნდა გავიზიაროთ, ლტოლვილ ქართველებს თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გავუწოდოთ დახმარების ხელი, ცუდი არ იქნება თუ თავშესაფარს მივცემთ და ორ-სამ ადამიანს მაინც შევიკედლებთ, სულიერად გავახნევებთ, აღმოვუჩენთ ეკონომიკურ დახმარებას მანამ, სანამ ისინი სიმშვიდე დამკვიდრდებოდეს და თავის კერას დაუბრუნდებოდნენ.

ამ ეტაპზე მე თვითონ შემიძლია შევიკედლო და თავშესაფარი მივცე 2-3 სულიან ოჯახს, გავიზიარო მათი ჭირ-ვარამი. იმედი მაქვს ყველა ქართველი შეძლებისდაგვარად გაითავისებს ლტოლვილთა მდგომარეობას და სამაჩაბლოში დაბრუნებამდე იზრუნებს მათ კეთილდღეობაზე.

შარდენ გუგავა.

ქ. ცაგერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების ცაგერის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის

# გადაწყვეტილება

## საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ცაგერის რაიონის საკრებულოთა არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების ცაგერის ტერიტორიულმა საარჩევნო კომისიამ

**გადაწყვიტა:**

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოთა არჩევნების შესახებ კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად ცაგერის რაიონის საკრებულოთა არჩევნებისათვის შეიქმნას შემდეგი საარჩევნო ოლქები:

### სოფელი ტვიში

**ორხვის №1 საარჩევნო ოლქი** — სოფელი ორხვი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ბახძელაძის სახლიდან რუბენ ვლასის ძე ასათიანის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ორხვის სასოფლო კლუბის შენობა.

**ორხვის №2 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ორხვი გაბრიელ ბიჭიას ძე ასათიანის სახლიდან ჟორა ნიკანდროს ძე გაბიძაშვილის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ორხვის არასრული საშუალო სკოლის შენობა.

**ლახეფის №3 საარჩევნო ოლქი**—სოფელი ლახეფა და სოფელი ტვიშის ნაწილი ეთერ შალვას ასული ნემსწვერიძის სახლიდან მიხეილ დომენტის ძე მუშკუდიანის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—სოფ. ლახეფის საფერშლო-საბებიო პუნქტი.

**ტვიშის №4 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ტვიში გურამ დიმიტრის ძე ლაკვეხელიანის სახლიდან ქენია ლავრენტის ასული სვანიძის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ტვიშის საფერშლო-საბებიო პუნქტი.

**ქორენიშის №5 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ქორენიში ანიჩკა კოწიას ასული ასათიანის სახლიდან საშა სპირიდონის ასული ფალავანდიშვილის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ქორენიშის სასოფლო კლუბი.

### სოფელი ალპანა

**ალპანის №1 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ალპანა დათა პავლეს ძე ფრუიძის სახლიდან ვალერი თედორეს ძე ფრუიძის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ლედი დიმიტრის ასული ფრუიძის სახლი.

**ალპანის №2 საარჩევნო ოლქი**—სოფ. აჭარა ჯემალ კარლოს ძე ფრუიძის სახლიდან ტარიელ ჟორას ძე ფრუიძის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—გალინე თეოფანეს ასული ფრუიძის სახლი.

**ზოგიშის №3 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ზოგიში ტასიკო კიმოთეს ასული ხვადაგიანის სახლიდან ჯაბული მანკაროზის ძე სილაგაძის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—რაჟიკო ევგენის ძე ჭოხონელიძის სახლი.

**ცაგერას №4 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ცაგერა ვაჟა ონისიმეს ძე სილაგაძის სახლიდან ოთარ თეოფანეს ძე ხვადაგიანის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ალექსანდრე ალფეზის ძე ხვადაგიანის სახლი.

**ქვედა საირმის №5 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ქვედა საირმე გივი ვანოს ძე კაკიტაძის სახლიდან ჟორა სამსონის ძე ცხვედიანის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—როზა არტემის ასული ხუციძის სახლი.

**ზედა საირმის №6 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ზედა საირმე მარო ლევანის ასული ალავიძის სახლიდან მარო სიმონის ასული ხუციძის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ევგრაფი დალოსტის ძე ალავიძის სახლი.

### სოფელი ლაილაში

**ქვედა ლაილაშისა და ლუს №1 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ლუ და ქვედა ლაილაშის ნაწილი გალინე მირონის ასული ხეცურიანის სახლიდან მარო გიგოს ასული ჩორგოლიანის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—სეფე მიხეილის ძე ერბელიძის სახლი.

**შუა ლაილაშის №2 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ლაილაში კაკო გრიშას ძე ქარსელაძის სახლიდან ნოდარ სამსონის ძე ჩორგოლიანის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ლაილაშის სასოფლო ბიბლიოთეკა.

**ზედა ლაილაშის №3 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ლაილაში დავით ალექსანდრეს ძე თვარაძის სახლიდან ჯემალ კოლიას ძე ჩაჩხიანის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ლაილაშის სასოფლო საბჭო.

**თაბორის №4 საარჩევნო ოლქი**—სოფ. თაბორი ზური სერგოს ძე ქარსელაძის სახლიდან გივი ნიკოლოზის ძე ბაკურაძის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—თაბორის არასრული საშუალო სკოლა.

**სოფელ სურმუშის №5 საარჩევნო ოლქი** — სოფ. სურმუში ვილგელმან სიმონის ძე ობოლაძის სახლიდან გურამ ნიკოს ძე ქარსელაძის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—სურმუშის სასოფლო ბიბლიოთეკა.

### სოფელი ორბელი

**ორბელის №1 საარჩევნო ოლქი**—დასახელებული პუნქტები: სპათაგორი, ლეშკედა, ლაცორია.

ცენტრი—სოფელ სპათაგორის სასოფლო კლუბი.

**№2 საარჩევნო ოლქი**—დასახლებული პუნქტები: გაგულეჩი, ქვედა ლაჯანა.

ცენტრი—ლაჯანის კულტურის სახლი.

**№3 საარჩევნო ოლქი**—დასახლებული პუნქტები: ზედა ლაჯანა და კინიშურის უბანი.

ცენტრი — ვეტერინარული სამსახურის შენობა.

**№4 საარჩევნო ოლქი**—დასახლებული პუნქტები: ორბელის ჭალის დასახლება, სუნარიელის კუთხე, ლაშითავის დასახლება.

ცენტრი—ორბელის კულტურის სახლი.

**№5 საარჩევნო ოლქი**—დასახლებული პუნქტები: ქვედა ორბელი, ქოლბანი და კურცობი.

ცენტრი—ორბელის კოლმეურნეობის კანტორა.

**№6 საარჩევნო ოლქი**—დასახლებული პუნქტები: ორბელის ჭალის უბანი, გუგუმიერის დასახლება და ზედა ორბელი.

ცენტრი—ზედა ორბელის კოლმეურნეობის ყოფილი კანტორა.

**№7 საარჩევნო ოლქი**—დასახლებული პუნქტი წილამიერი.

ცენტრი — წილამიერის კლუბ-კანტორა.

### სოფელი უსახელო

**ქვედა უსახელოს № 1 საარჩევნო ოლქი**—შ. ე. ხეცურიანის სახლიდან ვ. მ. ასათიანის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ი. ო. ყურაშვილის სახლი.

**ქვედა უსახელოს № 2 საარჩევნო ოლქი**—ვ. ვ. ხეცურიანის სახლიდან, შ. ნ. გორგასლიძის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ა. ვ. ხეცურიანის სახლი.

**ქვედაუსახელოს №3 საარჩევო ოლქი**—ნ. კ. გორგასლიძის სახლიდან ჯ. ა. გუგავას სახლის ჩათვლით.

ცენტრი—გ. ლ. ყურაშვილის სახლი.

**ზედა უსახელოს №4 საარჩევნო ოლქი**—ა. გ. სილაგაძის სახლიდან მ. ა. დავითულიანის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ჯ. მ. თოთაძის სახლი.

**ხოჯის №5 საარჩევნო ოლქი**—მ. თ. სილაგაძის სახლიდან კ. კ. სილაგაძის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—კ. მ. გოლეთიანის სახლი.

### სოფელი ღვირიში

**ქვედა ღვირიშის №1 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ქვედა ღვირიში.

ცენტრი—გურამ სიმონის ძე ტყაბლაძის სახლი.

**ზედა ღვირიშის №2 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ზედა ღვირიში.

ცენტრი—ზედა ღვირიშის ბიბლიოთეკა.

**უცხერის №3 საარჩევნო ოლქი**—სოფ. უცხერი.

ცენტრი—უცხერის საფერშლო პუნქტი.

**ნასპერის №4 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ნასპერი.

ცენტრი—ნასპერის ძველი კანტორა.

**სანორჩის №5 საარჩევნო ოლქი**—სოფ. სანორჩი

ცენტრი—სანორჩის ბიბლიოთეკის შენობა.

### სოფელი ნაკურალეში

**ნაკურალეშის №1 საარჩევნო ოლქი**—ალათი ათანასეს ასული გოლეთიანის სახლიდან ორენტი ალექსის ძე ყურაშვილის სახლის ჩათვლით.

ცენტრი ო. ა. ყურაშვილის სახლი.

**ნაკურალეშის №2 საარჩევნო ოლქი**—შალვა კოსტას ძე ყურაშვილის სახლიდან ვილიამ სამსონის ძე ყურაშვილის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ს. ვ. ყურაშვილის სახლი.

**ცხუკუშერის №3 საარჩევნო ოლქი**—სოფელი ცხუკუშერი.

ცენტრი—სოფლის ბიბლიოთეკის შენობა.

### სოფელი ალვი

**ალვის №1 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ქვედა ალვი გრიგოლ ივანეს ძე კენჭაძის სახლიდან მურთაზ დავითის ძე ყურაშვილის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ალვის არასრული საშუალო სკოლის შენობა.

**ალვის № 2 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ქვედა ალვი მურთაზ დავითის ძე ყურაშვილის სახლიდან სერგო ნიკანდროს ძე ახვლედიანის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—იაშა ივანეს ძე ლეთოდიანის სახლი.

**ალვის №3 საარჩევნო ოლქი**—სოფ. შუა ალვი.

ცენტრი—გედეონ ბესარიონის ძე ბობოხიძის სახლი.

**ალვის №4 საარჩევნო ოლქი**—სოფლები ზედა ალვი და კენაში.

ცენტრი—ალვის სასოფლო საბჭოს შენობა.

### სოფელი ლასურიაში

**№1 საარჩევნო ოლქი**—სოფ. მახაში ეთერ პარიმონის ასული კენჭაძის სახლიდან შოთა მიხეილის ძე გასვიანის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—რამაზ კაკოს ძე ცხვედიანის სახლი.

**№2 საარჩევნო ოლქი**—სოფ. მახაში შოთა პარიმონის ძე კენჭაძის სახლიდან დადაში აქვსენტის ძე ჯიაძის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—გენული ირაკლის ძე გოლეთიანის სახლი.

**№3 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ლასურიაში ვალოდია ხეცურიანის სახლიდან გივი ვალერიანის ძე სვანიძის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ოთარ არტემის ძე კენჭაძის სახლი.

**№4 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ლასურიაში ბიჭიკო იუსტინეს ძე ფანჯარაძის სახლიდან მარო თეოფანეს ასული მუშკუდიანის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ოთარ მოსეს ძე კობერიძის სახლი.

**№5 საარჩევნო ოლქი**—სოფ. დეხვირი ბიჭიკო ჩიქოვანის სახლიდან გიგა ჭაბუკიანის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—დეხვირის კლუბ-კანტორა.

**№6 საარჩევნო ოლქი**—სოფლები ზედა დეხვირი და ლესინდი.

ცენტრი ლესინდის კლუბი.

### სოფელი ქვედა ცაგერი

**ჭალისთავის №1 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ჭალისთავი.

ცენტრი—ჭალისთავის დაწყებითი სკოლა.

**ქვედა ცაგერის №2 საარჩევნო ოლქი**—სოფელ ჭალისთავიდან ახალი დასახლების ჩათვლით სახრაველას ღელემდე ცენტრალური გზის ორივე მხარე.

ცენტრი—ქვედა ცაგერის საფოსტო განყოფილება.

**ქვედა ცაგერის №3 საარჩევნო ოლქი**—სახრაველას ღელედან გიორგავას ღელემდე ცენტრალური გზის ორთავე მხარე.

ცენტრი—ცაგერის კოლმეურნეობის კანტორა.

**ქვედა ცაგერის №4 საარჩევნო ოლქი**—გიორგავას

(დასასრული მე-3 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების ცაგერის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის

# გადაწყვეტილება

## საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ცაგერის რაიონის საკრებულოთა არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ

ღელედან კეჭნარის ღელემდე ცენტრალური გზის ორივე მხარე ახალდასახლების ჩათვლით.

ცენტრი—ჯიმშერ თევდორეს ძე ლიპარტელიანის სახლი.

**გვესოს №5 საარჩევნო ოლქი**—სოფ. გვესო.

ცენტრი—გვესოს სასოფლო კლუბი.

**ჩხუტელის №6 საარჩევნო ოლქი**—სოფელ ჩხუტელის ჭალის დასახლება ლამარელას ღელემდე წულვანის ჩათვლით.

ცენტრი—ჩხუტელის საშუალო სკოლა.

**ჩხუტელის №7 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ჩხუტელი ლამარელას ღელიდან კლდისძირის უბანი და დოლურაშის დასახლება.

ცენტრი—ჩხუტელის კოლმეურნეობის კანტორა.

**ლასხანის №8 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ლასხანა.

ცენტრი—ლასხანის დაწყებითი სკოლა.

### სოფელი ლუხვანო

**№1 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ზარაგულა.

ცენტრი—ზარაგულის სასოფლო ბიბლიოთეკა.

**№2 საარჩევნო ოლქი**—სოფელი ქვედა ლუხვანო ბენია გერონტის ძე სალინაძის სახლიდან გერონტი ნესტორის ძე ბენდელიანის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ანზორ ეგნატეს ძე ლეთოდიანის სახლი.

**№3 საარჩევნო ოლქი**—სოფელი ქვედა ლუხვანო თინა რეზოს ასული სალინაძის სახლიდან, გურამ ისაკის ძე ბენდელიანის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ჯოტო ანტონის ძე სალინაძის სახლი.

**№4 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ზედა ლუხვანო.

ცენტრი—დავით ვლადიმერის ძე ლეთოდიანის სახლი.

### სოფელი წიფერჩი

**№1 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ბარდნალა.

ცენტრი—სასოფლო ბიბლიოთეკა.

**№2 საარჩევნო ოლქი**—სოფ. წიფერჩი.

ცენტრი—წიფერჩის სასოფლო ბიბლიოთეკა.

**№3 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ლარჩვალი.

ცენტრი—ლარჩვალის სასოფლო ბიბლიოთეკა.

**№4 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ჩქუმი.

ცენტრი—ჩქუმის სასოფლო ბიბლიოთეკა.

**№5 საარჩევნო ოლქი**—სოფ. ქულბაქი.

ცენტრი—ქულბაქის სასოფლო კლუბი.

### სოფელი ზუბი

**ზუბის №1 საარჩევნო ოლქი** — სოფელი ზუბი ფრიდონ იოსების ძე კუხალაშვილის სახლიდან გუჯა აფრასიონის ძე ჩაქვეტაძის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ვარლამ ალიმის ძე ჩაქვეტაძის სახლი.

**ზუბის №2 საარჩევნო ოლქი**—სოფელი ზუბი გუშერი სარდიონის ძე ბენიძის სახლიდან ოთარ ნესტორის ძე ჩაქვეტაძის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ზუბის სასოფლო კლუბის შენობა.

**ზუბის №3 საარჩევნო ოლქი**—სოფელი ზუბი გრიგოლ პორფილეს ძე მამარდაშვილის სახლიდან ოთარ ერისტოს ძე ჩაქვეტაძის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—მიშა ოქროპირის ძე ჩიქოვანის სახლი.

**ისუნდრის №4 საარჩევნო ოლქი**—სოფელი ისუნდერი.

ცენტრი—ისუნდრის სასოფლო კლუბის შენობა.

**მახურის №5 საარჩევნო ოლქი**—სოფელი მახურა.

ცენტრი—მახურის სასოფლო კლუბის შენობა.

### სოფელი ოყურეში

**ოყურეშის№ 1 საარჩევნო ოლქი**—სოფელი ოყურეში მურთაზ ილარიონის ძე უგრეხელიძის სახლიდან ანა ფილიპეს ასული მანაგაძის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ვლადიმერ მაკარის ძე გიორბელიძის სახლი.

**ოყურეშის №2 საარჩევნო ოლქი**—სოფელი ოყურეში რუბენ ერმილეს ძე მუშკუდიანის სახლიდან დავით ფილიპეს ძე მამარდაშვილის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—მაგული სერგოს ძე არჯევანიძის სახლი.

**ოყურეშის №3 საარჩევნო ოლქი**—სოფელი ოყურეში ბიჭიკო ინდიკოს ძე მამარდაშვილის სახლიდან ანზორ ვალოდიას ძე მუშკუდიანის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ზედა ოყურეშის დაწყებითი სკოლის შენობა.

**ოყურეშის №4 საარჩევნო ოლქი**—სოფელი ოყურეში ნოდარ სარდიონის ძე მუშკუდიანის სახლიდან გურამ ვალიკოს ძე მუშკუდიანის სახლის ჩათვლით.

ცენტრი—ვერა ვარლამის ასული მუშკუდიანის სახლი.

**ოფიტარის №5 საარჩევნო ოლქი**—დასახლებული პუნქტი სოფელი ოფიტარა.

ცენტრი—ოფიტარის ბიბლიოთეკის შენობა.

### ქალაქი ცაგერი

**№1 გოლეთიანის საარჩევნო ოლქი** — საზღვრები: თავისუფლების ქუჩა წერეთლის ქუჩის გადაკვეთამდე, ვ. გოლეთიანის ქუჩა, კოსტავას ქუჩა ცენტრალური მოედნიდან თავისუფლების ქუჩის გადაკვეთამდე, ლ. ასათიანის ქუჩის 15, 18, 19, 21, 23, 25 სახლების ჩათვლით.

ცენტრი—სამხედრო კომისარიატის შენობა.

**№2 ჭავჭავაძის საარჩევნო ოლქი**—საზღვრები: თავისუფლების ქუჩა რუსთაველის ქუჩის გადაკვეთიდან 9 აპრილის ქუჩის გადაკვეთამდე, ისიანის ქუჩა, ჭავჭავაძის ქუჩა, დავით აღმაშენებლის ქუჩა თავისუფლების ქუჩის გადაკვეთამდე, ნინოშვილის ქუჩა თავისუფლების ქუჩის გადაკვეთამდე.

ცენტრი—რაიონული სავაჭრო-ყოფის შენობა.

**№3 თავისუფლების საარჩევნო ოლქი**—საზღვრები: ვ. ფშაველას ქუჩა, თავისუფლების ქუჩა რუსთაველის ქუჩის გადაკვეთამდე, რუსთაველის ქუჩა თავისუფლების ქუჩის გადაკვეთამდე, წერეთლის ქუჩა.

ცენტრი—კინოთეატრის შენობა.

**№4 ნინოშვილის საარჩევნო ოლქი**—საზღვრები: ნინოშვილის ქუჩა თავისუფლების ქუჩის გადაკვეთიდან თამარის ქუჩის გადაკვეთამდე, დავით აღმაშენებლის ქუჩის №43 ორმოცბინიანი სახლიდან თავისუფლების ქუჩის გადაკვეთამდე, 9 აპრილის ქუჩა, თავისუფლების ქუჩა რუსთაველის ქუჩიდან 9 აპრილის ქუჩამდე, მერაბ კოსტავას ქუჩა დავით აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩის გადაკვეთამდე, რუსთაველის ქუჩა თავისუფლების ქუჩიდან კოსტავას ქუჩის გადაკვეთამდე.

ცენტრი—სამხატვრო გალერეა.

**№5 ბარათაშვილის საარჩევნო ოლქი**—საზღვრები: თამარ მეფის ქუჩა 9 აპრილის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩის გადაკვეთამდე, დ. აღმაშენებლის ქუჩა თამარ მეფის ქუჩიდან ლ. ასათიანის ქუჩის გადაკვეთამდე, ბარათაშვილის ქუჩა.

ცენტრი—ორმოცბინიანი საცხოვრებელი სახლი.

**№6 დავით აღმაშენებლის საარჩევნო ოლქი**—საზღვრები: დ. აღმაშენებლის ქუჩა ლ. ასათიანის ქუჩიდან №63 ორმოცბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩათვლით.

ცენტრი—№23 საგზაო სამმართველოს შენობა.

**№7 ლესელიძის საარჩევნო ოლქი**—საზღვრები: ლესელიძის ქუჩა, ნინოშვილის ქუჩა შ. ს. რაიგანყოფილების ადმინისტრაციული შენობიდან ახალ დასახლებამდე, ლ. ასათიანის ქუჩა დავით აღმაშენებლის ქუჩიდან, რუსთაველის ქუჩის მესამე შესახვევი.

**ცაგერის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის**

თავმჯდომარე: **გ. ვ. ხეცურიანი**
მდივანი: **თ. გ. სალინაძე**

**23 თებერვალი 1991 წელი.**

ქ. ცაგერი

---

# არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობის წესი

**(დასასრული).**

ჩვენო კომისიის პრეს-ჯგუფს განცხადება და გამოსაქვეყნებელი მასალა უნდა წარედგინოს წინა კვირის შაბათამდე. გამოქვეყნებისას დაცული იქნება ამ მასალის წარდგენის რიგითობა.

ერთჯერადად გამოქვეყნებული მასალის მოცულობა პარტიის სურვილით შეიძლება გაიზარდოს მისი ჯამური ლიმიტის ხარჯზე:

„საქართველოს რესპუბლიკაში“—ნახევარ გვერდამდე;

„ახალგაზრდა ივერიელში“ ან—„თავისუფალ საქართველოში“—ერთ გვერდამდე;

„ერში“—ნახევარ გვერდამდე;

„ლიტერატურულ საქართველოში“—ნახევარ გვერდამდე.

„ვესტნიკ გრუზიი“-ში —ნახევარ გვერდამდე.

27-29 მარტის „საქართველოს რესპუბლიკაში“ და „ვესტნიკ გრუზიი“-ში ყოველ პარტიას შეუძლია გამოაქვეყნოს ბოლო მიმართვა ამომრჩევლებისადმი. მიმართვის ტექსტი პარტიამ პრესჯგუფს უნდა წარუდგინოს არაუგვიანეს 25 მარტისა.

**პრესა ადგილობრივი:** თბილისში (გაზეთები „თბილისი“, „ვეჩერნი ტბილისი“) რაიონებში—რაიონული გაზეთები.

თითოეულ რაიონში ინფორმაციის გამოქვეყნებაზე და რიგითობის დაცვაზე პასუხისმგებელია შესაბამისი ტერიტორიული ან საქალაქო (ტერიტორიულის უფლებებით) საარჩევნო კომისია. პარიტეტი დაცული უნდა იყოს კონკრეტულ რაიონში პოლიტიკურ ძალთა კონკრეტული განლაგებით (ბლოკების მიხედვით).

ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრეს-ჯგუფის ტელეფონია: 93-73-70.

საქინფორმი.

---

# ოსტატი

ბავშვობიდანვე ყურადღებას იპყრობდა მისი ნიჭით, ბავშვური ცელქობით, რადიო და ელექტრო ხელსაწყო-დანადგარების სიყვარულით გაიოზ ყორას ძე მუშკუდიანი. ჯერ კიდევ პატარა მამით დაობლდა, დედამ დედობაც და მამობაც იკისრა. მოსწავლეობის პერიოდში დიდ ინტერესს იჩენდა ტელეფონისა და რადიოს საიდუმლოებათა შესწავლისადმი, ამ მიზნით კარგად სწავლობდა ფიზიკას, ჩაჰკირკიტებდა ელექტროობას, რადიოსა და ტელეფონის საიდუმლოებას.

ოყურეშის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო ბეგარა მოიხადა, იქიდან დაბრუნებული დაუსწრებელ სწავლებაში ჩაება თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე.

გაიოზი სწავლასთან ერთად კეთილსინდისიერად შრომობს, იგი კავშირგაბმულობის ოყურეშის განყოფილებაში მონტიორად მუშაობს. მაშინ, როცა დღევანდელ პირობებში ძალიან ძნელი მოსაწესრიგებელი გახდა ტელეფონის ნორმალური სარგებლობა—გაიოზს სოფლის სატელეფონო ხაზები წესრიგში აქვს. ტელევიზორის შეკეთების ხომ უბადლო ოსტატია, გასამრჯელოს გარეშე, დაუზარებლად ემსახურება მოსახლეობას.

ოყურეშის მოსახლეობა კმაყოფილია გაიოზის გარჯით, კეთილსინდისიერი მომსახურებით. იგი, როგორც დაუზარელი მშრომელი ყველას უყვარს, ყველა მადლობელია.

**ქეთინო მურცხვალაძე,**
სოფ. ოყურეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გილოცავთ ბედნიერ ქორწინებას!

**მზია ონიანს**
**ამირან მიქაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. ამ სიყვარულით გევლოთ ცხოვრების ბოლომდე. შვილთა სიმრავლე ალამაზებდეს, აძლიერებდეს თქვენს ქართულ ოჯახს.

**დარეჯან, რამაზ მეგრელები.**

---

**მანანა და ნუგზარ ჭაბუკიანებს**
**სოფო და გოჩა სვანიძეებს**

გილოცავთ თქვენს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერ დღეს—ქორწინებას.

იხარეთ, იმრავლეთ, იბედნიერეთ!

დაე, სიკეთე და სიტკბოება ყოფილიყოს თქვენი მომავალი ცხოვრების საწინდარი.

**ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.**

---

**ნანა ამბერკის ასულ ცვარიანს**
**ბონდო გალაქტიონის ძე თუთისანს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული და სიხარული დაგებედოთ, მრავალი შვილი შეგძინოთ ერის საკეთილდღეოდ.

**წიფერჩის ბაგა-ბაღის თანამშრომლები.**

---

## გილოცავთ

**ნაირა გერასიმეს ასულ ფუტკარაძეს**
**გრიგოლ დავითის ძე სალინაძეს**

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას. სულ სიხარული და ბედნიერება ყოფილიყოს თქვენს ოჯახში.

**ბორის აბაშიძის ოჯახი.**

---

**ირმა უჩას ასულ ლიპარტელიანს**
**როლანდი იონას ძე მამარდაშვილს**
**მერაბ ტარასის ძე დავითულიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჩვენი ტანჯული საქართველოს სასახელო შვილობას. ქმნა მართლისა ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

**ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები.**

---

**ანზორ ვლადიმერის ძე მურცხვალაძეს**

საყვარელო მამიკო, ძვირფასო ბაბუა, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ნუ მოგვაკლებოდეს შენი იმედი.

**ალუდა, მზია, ვეფხია, ლელა, ირაკლი, მედეა მურცხვალაძეები.**

---

**ბიქტორ აბელის ძე უგრეხელიძეს**

გილოცავთ დაბადებიდან 70 წლის შესრულებას. გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

**შვილიშვილები: აბელ, ირაკლი, როსტომ უგრეხელიძეები, ია, ლია ბურჯალიანები.**

---

**მაკა თამაზის ასულ ხეცურიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობა, სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს შენი ცხოვრების თანამგზავრი. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

**თანაკურსელები.**

---

**მაყვალა ხუბუკელაშვილს**

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და დიდხანს სიცოცხლეს.

**ცაგერის საშუალო სკოლის XI-ბ კლასის მოსწავლეები.**

---

მეუღლე იროდი, შვილები რამაზი, რევაზი, დედამთილი ნინა, ძმები ქორა, თამაზი, მამიდა ვერა, მაზლი კუკური, მულები ლენა, მერი, რძლები ლანგუშა, მარინე, ციალა, ნინო, დომნა, სიძეები ფრიდონ ჯანაშია, შალვა ბერაძე, ძმისშვილები, მულისშვილები, მაზლისშვილები, ბიცაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მანია (დოდო) სილაგაძე-ნემსწვერიძე.**

დაკრძალვა 10 მარტს, კვირას ქ. ცაგერში.

---

ლერი ჩხეტიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**მანია სილაგაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

აკაკი, გერონტი, რომან, გიზო, ნანი, ავთო კალანდაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მანია (დოდო) სილაგაძე-ნემსწვერიძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ცაგერის პროფესიული სახანძრო ნაწილის მუშაკები თანაუგრძნობენ იროდი ნემსწვერიძეს მეუღლის

**მანიას**

გარდაცვალების გამო.

---

გურამ არჩილის ძე კოპალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ნათია ფანჯავიძე.**

---

გიგლა ლეთოდიანი, ზაურ ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**პოლიაქტოზ ალექსანდრეს ძე ბენდელიანი.**

---

თანაკლასელები თანაუგრძნობენ რამაზ ნემსწვერიძეს დედის

**მანია ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

მახაშის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ამბერკი სემინარის ძე სილაგაძე.**

---

მეზობლები დადაში, ზურაბ ჩაკვეტაძეები, გრიშა ბენდელიანი, რონ, ნიურა, ნელინე სალინაძეები, კუკური ბერიძე, ანზორ კვირკაშვილი, გურამ ლიპარტელიანი, შალვა ყურაშვილი, ნორა კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ იამზე და შოთა სალინაძეებს მამისა და სიმამრის

**პოლიაქტოზ ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

აგროსამრეწველო გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაყვალა კვირკაშვილს დედის

**მარიამ კვირკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

მიშა, სპარტაკ, ნანი, მაყვალა, ნუცა, გულო კვირიკაშვილები თანაუგრძნობენ იამზე და შოთა სალინაძეებს მამისა და სიმამრის

**პოლიაქტოზ ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე საშა, შვილები ლევანი, დავითი, ბიძა სეფე, დები ნინელი, ლორინა, რძლები ეთერ გვიშიანი, ნინო სანიკიძე, შვილიშვილები ლაშა, სამსონი, ნათია, ბიცაშვილები, მამიდაშვილები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მიხეილ სამსონის ძე ერბელიძე.**

დაკრძალვა 9 მარტს, შაბათს, სოფ. ლაილაშში.

---

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ასმათ ფრუიძეს სიძის

**ლევან ნემსაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სახალხო განათლების მუშაკები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე განყოფილების მეთოდისტი

**ამბერკი სემინარის ძე სილაგაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზურაბ, გუჯუ სვანიძეები ოჯახებით იუწყებიან

**მარიამ კვირკაშვილის**

გარდაცვალებას. და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ლეილა, თამაზ ლიპარტელიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მარიამ ლიპარტელიანი-კვირკაშვილი.**

---

პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაყვალა და ჯიბილო მიქაძეებს დედისა და სიდედრის

**მარიამ კვირკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის 1981 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ მაია სილაგაძეს მამის

**ამბერკი სემინარის ძე სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მურმან, ამირან, დავით სალინაძეები, გივი ლეთოდიანი, ბუჭუ ბენდელიანი თანაუგრძნობენ იამზეს და გრიშას მამის, შოთა სალინაძეს სიმამრის

**პოლიაქტოზ ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ჭიჭიკო კოპალიანი ოჯახით თანაუგრძნობს იამზე და შოთა სალინაძეებს მამისა და სიმამრის

**პოლიაქტოზ ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლენა მურცხვალაძე, მიშა, კუკური კვირკაშვილები, ნელი ჩაკვეტაძე, ონისე ხეცურიანი, გრიშა ცხვედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძე.**

---

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს მელიტა ლობჟანიძეს მამამთილის

**ამბერკი სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობს ლორინა ერბელიძეს და ეთერ გვიშიანს ძმისა და მამამთილის

**მიხეილ ერბელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ოთარ ნემსწვერიძე, სოსო გასვიანი, ლაშა ბურჯალიანი, მევლუდ [illegible] ირემაძე, [illegible] იანები, [illegible] მეგრელი, კოლო [illegible], დოლაბერიძე, ვენერა ჩარკვიანი, ზურაბ თუთისანი, დემურ კოპალიანი, რეზო სისვა ოჯახებით თანაუგრძნობენ მაყვალა, ჯიბილო მიქაძეებს

**მარიამ კვირკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

მეზობლები დადაში მაღრიანი, გრიშა ჭილვარია, ამირან ხეცურიანი, ჯემალ სვანიძე, ცაცა, მამუკა კუხალაშვილები, ელგუჯა, თემურ ფალავანდიშვილები, სულიკო, თალიკო, დანიელ ყურაშვილები, გიური, ხუტუ ბერუჩაშვილები, სელიკო სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მანია (დოდო) რაჟდენის ასული სილაგაძე-ნემსწვერიძე.**

---

აკაკი, ვერონტი, რომან, გიზო, ნანი, ავთო კალანდაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ამბერკი სილაგაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ჯობო ბაკურაძე, ზურაბ, მამია დაშნიანები, მერაბ სვანიძე ოჯახებით იუწყებიან

**ნათია ფანჯავიძის**

გარდაცვალებას.

---

გია, ნინო კერვალიშვილები, ელისო, კახა თოდუები, მედიკო, მურმან თოთაძეები, იზოლდა სალინაძე, ნატო ნემსაძე, დათო გოქაძე თანაუგრძნობენ მამუკა და ხათუნა სილაგაძეებს მამის

**ამბერკი სემინარის ძე სილაგაძის**

გარდაცვალებას.

---

უახლოესი მეზობლები ჯაბო დავითულიანი, ბუჭუ გურული, ვახტანგ ომანაძე, ამირან ჩახულიანი, კაკო, ნანი ჩარკვიანები, ჭიჭიკო, პავლე კოპალიანები, გია ლეთოდიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ იამზე, შოთა სალინაძეებს მამისა და სიმამრის

**პოლიაქტოზ ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

დავით, ნაზი, ზურაბ ლიპარტელიანები, გიორგი, ზოია ჯაბიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ამბერკი სემინარის ძე სილაგაძე.**

---

რომან კალანდაძე, ლენა მდივანი, ნუცა მამარდაშვილი, ქორა კვირკაშვილი, გურამ ჩაფრავა თანაუგრძნობენ ლია სილაგაძეს ძმის

**ამბერკი სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ქორა ახვლედიანი ოჯახით იუწყებს

**ამბერკი სილაგაძის**

გარდაცვალებას.

---

პურკომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ შოთა სალინაძეს სიმამრის

**პოლიაქტოზ ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

„ლეჩხუმი" გამოდის
* სამშაბათს
* ხუთშაბათს
* შაბათს

ჩვენი მისამართი: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების — 22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების — 22-41, სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობო საამქრო — 22-23

შეკვეთა №26 ტირაჟი 4720

რედაქტორი ნოდარ ნემსაძე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა